ПРОЛЕТАРЕБО УГЕЛА ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 74 (12282) | ოთხშაბათი, 28 მარტი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

27 მარტს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მართვის გაუმჯობესების დარგში.

პლენუმზე მოწვეული იყვნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობისათვის ახლად შექმნილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგები, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგები.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძემ.**

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. **ა. ს. ბექაური,** საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **თ. გ. ბადურაშვილი,** სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ვ. ი. გაზაევი,** სამტრედიის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ამხ. **კ. ნ. შავიშვილი,** სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. **მ. ს. დალაქიშვილი,** მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **მ. ქ. ტაკიძე,** წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი **პ. მ. ტოკლიკიშვილი,** რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრი ამხ. **ი. მ. ხოხლოვი,** რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. **ა. გ. ჩხეტიანი,** გორის რაიონის სოფელ ზედდულეთის კოლმეურნეობის მექანიზატორი ამხ. **გ. ა. ცერცვაძე,** ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ვ. ა. დურგარიანი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი ამხ. **მ. ი. კუჭავა.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **რ. ი. ფრუიძე** არჩეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად დამტკიცებული არიან ამხანაგები:

ი. გ. რთველიაშვილი — პარტიული ორგანოებისა;

მ. ა. გოგიჩაიშვილი — პროპაგანდის და აგიტაციისა;

შ. ი. ჭანუყვაძე — სასოფლო-სამეურნეოსი;

შ. მ. ბეზარაშვილი — სამრეწველო-სატრანსპორტოსი;

ი. ს. ჩანბა — მშენებლობისა;

გ. გ. პაიჭაძე — მეცნიერების, სკოლის და კულტურისა;

მ. გ. ვეფხვაძე — ადმინისტრაციული ორგანოებისა;

დ. მ. მამულაძე — სავაჭრო-საფინანსო და საგეგმო ორგანოებისა;

ამხ. **დ. ვ. გელაშვილი** დამტკიცებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარედ.

რედაქტორებად დამტკიცებული არიან ამხანაგები:

დ. ვ. მჭედლიშვილი — გაზეთ „კომუნისტისა“;

ი. ი. ჩხიკვიშვილი — გაზეთ „ზარია ვოსტოკასი“;

ა. ა. ბლრციანი — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანისა“;

მ. ტ. მურადოვი — გაზეთ „სოვეთ გიურჯუსთანისა“;

გ. ს. ფირცხალავა — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტისა“.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის მორიგ ნომერში.

(საქდესი).

გაზაფხული გვიხმობს

მინდვრად, მეგობრებო, იქ წყდება უხვი მოსავლის ბედი

მოდის სასიხარულო ცნობები საკოლმეურნეო მინდვრებიდან

თელავი. (საკ. კორ.). ალაზნის ველზე „რკინის ხარები“ მთელ ზამთარს გეგეჭუნებდნენ. ძეძვითა და ჯაგნარით დაფარული მიწები გადაამავეს, ახალი ბენახების გასაშენებლად ასობით ჰექტარი მიწა გადაბარეს.

როგორც კი გაზაფხული დამკვიდრდა, მზენელ-მთესველნი მიხდვრად გავიდნენ. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ბარდა 225 ჰექტარზე დათესეს. ახლა მზესუმზირას, ჭარხალსა და ბოსტნეულს თესავენ. ამ საქმეში იყალთოს შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ლ. არსენაშვილი) დაწინაურდა. მექანიზატორებმა ე. გიგოლაშვილმა და კ. გიგაშვილმა სამ დღეში 37 ჰექტარი მზესუმზირა და 12 ჰექტარი ჭარხალი დათესეს.

რაიონში მზესუმზირა უკვე ორას ჰექტარზე დათესა, ჭარხალი — 150 ჰექტარზე, ბოსტნეული — 40 ჰექტარზე და სხვ.

სიღნაღი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში დღითიდღე ძლიერდება შრომითი ენთუზიაზმი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია. ცის დასალერამდე გაშლილ მიხდვრებში დღედაღამ არ წყდება მძლავრი იარაღ-მანქანების ხმაური. შვიდწლედის მეოთხე წლის უხვ მოსავალს მკვიდრი საძირკველი ეყრება.

მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადებმა, რომლებსაც მ. ლაზარიაშვილი და გ. ასანიშვილი მეთაურობენ, მზესუმზირა სამას ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს.

წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში მზესუმზირა ორას ჰექტარზე დათესა. მექანიზატორები შ. ალადაშვილი და შ. ჩითინაშვილი. დღეში ათი ჰექტარის ნაცვლად 15-20 ჰექტარს თესავდნენ.

კოლმეურნეობებმა მასობრივად დაიწყეს ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების თესვა.

ბურჯაანი, (საკ. კორ.). ქალი თუ კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა ზვრებსა და ველ-მინდვრებში ბეჯითად შრომობს. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ხუთ დღეში 670 ჰექტარი მზესუმზირა დათესეს.

ალაზნის ველზე ჭარხალი დიდ მოსავალს იძლევა. ამიტომ არის, რომ გურჯაანელები წლითიწლობით ზრდიან ამ კულტურის ნათეს ფართობებს. ვაზისუბნის, ჩუმლაყის, გურჯაანისა და ვეჯნის კოლმეურნეობებმა ჭარხალი ას ჰექტარზე დათესეს.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე ბოსტნეული კულტურების თესვა.

მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში ვენახებს ამჟამად 114 ჰექტარი უკავია, მიმდინარე წელს ამ ფართობს კიდევ მიემატება 50 ჰექტარი, სადაც გაშენდება „ცოლიკაურის“ ჯიშის ვაზი. ვარციხელმა მევენახეებმა წელს ვალდებულება აიღეს მოიწიონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 310 ტონა ყურძენი. ახლა მეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა ვაზის მყნობას. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ათასისა დამყნილი იქნება 900 ათასი ვაზი.

ხაშური: მეურნეობის ახალგაზრდა მევენახეები და-ძმა ლენა და მურმან ვარდანიძეები აწარმოებენ ვაზის გადაწვენას და საყრდენებზე დამაგრებას.

ფოტო გ. **გერსამიასი.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეორე კვარტალის ანგარიშში

წყალტუბო. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსთვის მეცხოველეობის პროდუქტების მოყიდვის პირველი კვარტალის დავალება. ხორცის მოყიდვის გეგმა შესრულებულია 112,5 პროცენტით, რძისა — 102 პროცენტით, კვერცხისა — 124,1 პროცენტით, ტყავისა — 117 პროცენტით.

მეორე კვარტალის ანგარიშში სახელმწიფოს მიეყიდა 118 ცენტნერი ხორცი, 80 ცენტნერი რძე, 60.600 ცალი კვერცხი.

გარდის თესვა დაამთავრეს

ბოლნისი მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად გადაწყვიტა მიმდინარე წელს გარდას 230 ჰექტარი დაუთესოს, ხოლო სიმინდის ალების შემდეგ კიდევ 200 ჰექტარზე დათესოს იგი.

ამ დღეებში მეურნეობის მექანიზატორებმა ბ. ხურციძემ და ქ. ფაშაევმა 230 ჰექტარზე უკვე დაამთავრეს ძვირფასი კულტურის თესვა.

ი. ბობოხიძე,
ბოლნისის გაზეთ „წითელი დროშის“ თანამშრომელი.

ა. ი. გერცენის თხზულებათა პირველი სრული გამოცემა

მოსკოვი, 27 მარტი. (საკდესი). ამ დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა ეზეიმება იმისათვის, რომ აღნიშნოს რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, გენიალური მოაზროვნის, დიდი დემოკრატი მწერლის ალექსანდრე ივანეს ძე გერცენის დაბადების 150 წლისთავი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას გამომცემლობა საიუბილეო წელს დაამთავრებს მის თხზულებათა 30-ტომიანი სრული კრებულის ვამოშვებას, რომლის 25 ტომი მკითხველებმა უკვე მიიღეს.

ა. ი. გერცენის მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებნი, რომლებიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის ხალხთა ბრძოლის ნიშანსვეტებად გადაიქცნენ, რევოლუციამდე არსებითად აკრძალული იყო. ისინი ცალკეულ გამოცემებად, ზოგჯერ რამდენიმე ტომად, ქვეყნდებოდა, მაგრამ ყოველთვის ცენზურით შეკვეცილი და დამახინჯებული.

თხზულებათა კრებული, რომლის გამოცემა ამჟამად ხორცელდება, მწერლის ლიტერატურული და ეპისტოლარული მემკვიდრეობის პირველი სრული მეცნიერული გამოცემაა. კრებულს გამოსაცემად მომზადების დროს განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნიდა ა. ი. გერცენის ნაშრომების ძებნა, რომლებიც „კოლოკოლში“ დაიბეჭდა ავტორის ხელმოუწერლად, ნაწარმოებთა იმ ადგილების აღდგენა, რომლებიც ცენზორამ ან ცენზურული მოსაზრებით თვით მწერალმა ამოიღო.

ამ ახალ გამოცემაში შედის ა. ი. გერცენის 60 სტატია და შენიშვნა, ათობით წერილი, რომლებიც ადრე არ შესულა მის თხზულებათა კრებულში და წინათ არ გამოქვეყნებულა. აქ აისახება აგრეთვე მწერლის უდიდესი რედაქტორული მუშაობა „კოლოკოლსა“ და „პოლიარნაია ზვეზდაში“.

გარდა თხზულებათა კრებულისა გერცენის საიუბილეო წელს მოსკოვისა და სხვა გამომცემლობანი უშვებენ მწერლის ბევრ ცალკეულ ნაწარმოებს. სულ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გერცენის წიგნები 196-ჯერ დაიბეჭდა 22 ენაზე. დაახლოებით 8 მილიონი ცალი ტირაჟით.

მეგობრობის საღამო

თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ერაყელ ახალგაზრდობასთან მეგობრობის საღამო გაიმართა საქართველოს გ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კლუბში. საღამოსთან დაკავშირებით მოეწყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ერაყელი ხალხის ბრძოლის ამსახველი გამოფენა.

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ზარიძემ უსურვა ერაყელ მეგობრებს წარმატებანი ცხოვრებასა და სწავლაში.

ერაყელ ახალგაზრდებს არაბულ ენაზე მიესალმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ნ. ჟვანია.

ერაყელმა სტუდენტმა აბდელ ყადერ საადეყმა ილაპარაკა ერაყელი ხალხის ბრძოლაზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ. საღამოზე გამოვიდნენ სომალელი მეჩაპედ აბელაჰ მაამუდი, კენიელი პოლ მვოკი, სუდანელი ჯელი აბდელ რაამანი.

საღამოს დასასრულს გაიმართა მხატვრული თვითმოქმედების დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ერაყელმა, სუდანელმა, სომალელმა და კონგოელმა სტუდენტებმა.

(საქდესი).

კომპოზიტორთა ყრილობაზე

მოსკოვი, 27 მარტი (საკდესი). მეორე დღეა მოსკოვში მუშაობას გაწევრიანობა კომპოზიტორთა სრულიად საკავშირო ყრილობა. დღევანდელ სხდომა გაიხსნა ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში. დილით საანგარიშო მოხსენება გააკეთა ცენტრალური საძიებელი კომისიის თავმჯდომარემ გ. დოგბაევმა.

შემდეგ ყრილობამ დაიწყო განხილვა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ვამგეობის პირველი მდივნის ტ. ხრენიკოვის მოხსენებისა: „გზა კომუნიზმის მუსიკალური კულტურისაკენ“ (საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების მდგომარეობა და ამოცანები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე) და ცენტრალური საძიებელი კომისიის მოხსენებისა. კამათში პირველი გამოვიდნენ ე. კაპი (ესტონეთი), ლ. ენტელისი (ლენინგრადი), ვ. მურადელი (მოსკოვი).

სახალხო კონსერვატორია

ლენინგრადი. პირველი ხუთწლედის სახელობის კულტურის სასახლეში გაიხსნა სახალხო კონსერვატორია. იგი ორგანიზებულია ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მონაწილეობით.

კონსერვატორიაში შექმნილია ოთხი ფაკულტეტი — საფორტეპიანო, საორკესტრო, ვოკალური და სადირიჟორო. გამოცდების შემდეგ კონსერვატორიაში მიიღეს 67 განსაკუთრებით ნიჭიერი მხატვრული თვითმოქმედების მონაწილე. სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია. სახალხო კონსერვატორიის დამთავრების ატესტატი იძლევა თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელობის უფლებას.

ახალი სასწავლო დაწესებულება შექმნილია საზოგადოებრივ საწყისებზე.

* * *

სურათზე: ლენინგრადის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტი ლია ზარეცკაია ამეცადინებს სახალხო კონსერვატორიის სტუდენტს ინეინერ-გემშენებელს გენადი ლისოვს.

ფოტო მ. ბლოხინისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

უკატაკეგენ სამშოგლოს

ქვაისა. საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის მაღაროთსამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა.

გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდთან შედარებით წელს აქ გადაამუშავეს 6.161 ტონით მეტი მაღანი.

ვ. ანტონოვი.

ტყვარჩელი-ქვანახშირის ტრესტის მეხუთე შახტის მაღაროელები ენერგიულად შრომობდნენ კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. რიტმული და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მაღაროელებმა სამეურნეო წლის დასაწყისიდან დღედასამშობლოს 30.000 ტონაზე მეტი ზეგეგმითი „შავი ოქრო“ მისცეს.

დ. ჩაკაბერია,
მეხუთე შახტის მნგრეველი.

ხაშური. (საკ. კორ.). ენერგომომარაგებლის ხაშურის უბნის კოლექტივმა გასული წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით კვლავ პირველი ადგილი დაიკავა და გზათა სამინისტროს და რკინიგზის პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ხაშურელი ენერგომომარაგებლები გაორკეცებული ენერგიით შრომობენ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში პირველობის შესანარჩუნებლად. დიდი გადამეტებით შეასრულეს იანვარ-თებერვლის საწარმოო გეგმები. მარტს პირველი დეკადის დავალება ორმაგად არის ჭანაღდებული. მონტიორები შ. ბერძენიშვილი, გ. ლამბაშიძე, ჯ. კიკნაძე, შ. ფცქიალაძე, ა. გიორგაძე, გ. ტალახაძე, ოსტატები ს. ჭყოიძე, შ. ცოტნიაშვილი და სხვები შრომის მისაბაძ მაგალითს იძლევიან.

ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგს მიაღწია. საწარმოს პირველ კვარტალში გეგმით უნდა გამოეშვა 1.600 ათასი ცალი აგური, 12 მარტისათვის უკვე გამოშვებული იყო 1.610 ათასი ცალი.

შრომაში ყველას გაუსწრეს და თავი ისახელეს ჯულეტა ტალახაძისა და ვაჟა ალხეთელიძის ცალებმა.

ეჯიგრეგაში გამარჯვებულნი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა 1961 წლის მეოთხე კვარტალის დავალება 123 პროცენტით შეასრულა, გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. ახლახან აქ მიიღეს სასიხარულო ცნობა. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭომ შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრების მეოთხე კვარტალის შედეგები და გამარჯვებულად ცნეს სახელოსნოს კოლექტივი. მას შესამე ადგილი და ფულადი პრემია მიეკუთვნა.

ამ ცნობის საპასუხოდ ხარატები, ზეინკლები, მჭედლები, ჩამომსხმელები, შემდუღებლები მეტი თავდადებით შრომობენ, იანვარ-თებერვალში ახალი წარმატებები მოიპოვეს, ხოლო პირველი კვარტლის დავალება 18 მარტისათვის შეასრულეს.

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ზეთსახდელი ქარხნის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. მან ვადამდე შეასრულა მცენარეული ზეთის წარმოების პირველი კვარტალის გეგმა და სახელმწიფოს 46 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

თუ ერთმა შეძლო—ყველა შეძლებს

როცა საქმე გიყვარს

ცხოვრებამ, ვამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იმას, რასაც დღეს მიაღწია ერთმა, ხვალ თავისუფლად შეიძლება მიაღწიოს მეორემ, ვისაც მონდომება და სურვილი აქვს.

აი თუნდაც ჩვენზე, ჩვენი ბრიგადის მაგალითზე ვილაპარაკოთ. საპირის დამამზადებელი საამქროს ეს ბრიგადა მცირეოდენოვანია, სულ ხუთი ქალისაგან შედგება. მაგრამ პატარა კოლექტივი ისე ბეჯითად, მონდომებით შრომობს, რომ, როგორც იტყვიან, „საქმეს ჩვენი ეშინია“.

გასული წლის დავალება ხომ დიდი გადაჭარბებით შეასრულეთ, ხარისხის ძრიოვაც ვისახელეთ თავი. მესამე წელია, რაც ბრიგადას კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი მიეკუთვნა, და ჯერ არ ყოფილა თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ მეორე ან მესამე ხარისხის ნაკეთობა გამოგვეშვას. მხოლოდ პირველი ხარისხი! — ასეთია ჩვენი დევიზი.

წარმატებას იმით ვაღწევთ, რომ ყველანი ზედმიწევნით ვფლობთ მიჩენილ ოპერაციას. ეს კიდევ ცოტაა. საამქროში კონვეიერული წესით მუშაობაა. თუ ერთი ჩამორჩა, რაიმე მიზეზით მოცდა, სხვებსაც ჩამოარჩენს. ამ შემთხვევაში თვითეულ ჩვენგანს შეუძლია ამხანაგს დაეხმაროს, ასწავლოს, და ეს იმიტომ, რომ ჩვენ არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ოპერაციის შესრულება ვისწავლეთ. პირადად მე ხუთი ოპერაციის შესრულება შემიძლია.

შეუძლებელი რომ არაფერია, ამის ნათელსაყოფად შორს წასვლა როდი გვჭირდება. კომკავშირელი მანანა კინკულაშვილი ორიოდე წლის წინათ მოვიდა ჩვენს ბრიგადაში. იგი თავდაპირველად, როგორც მოწაფე, გამოცდილ ოსტატს ვენერა მახათაძეს მივამაგრეთ. ახალბედა მეფეხსაცმლემ სულ ძალე შეისწავლა საქმე კარგა ხანია მანანა დამოუკიდებლად მეშაობს, და მერე როგორ? თავის მასწავლებელს არათუ დაეწია, კიდევაც გაუსწრო.

დიდი აღმავლობით დავიწყეთ შვიდწლედის მეოთხე წელი. ახლა ყოველდღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ვასრულებთ. ჩვენთან ერთად ახალ წარმატებებს აღწევს თანამოსაქმეთა ბრიგადა, რომელსაც ინდიკო ყორეოლიანი ხელმძღვანელობს და რომელიც კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელისათვის იბრძვის.

და ჩვენ გვჯერა, რომ თანამოსაქმეებიც მალე მოიპოვებენ ამ საპატიო სახელს, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, იმას ყველა მიაღწევს.

აქ შეუძლებელი რა უნდა იყოს!

ნადია ჩაგუნავა,
ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის საპირის დამამზადებელი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ა. ა. გრომიკოსა და დ. რუსკის ერთობლივი განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ ჟენევაში [illegible] ლების კომიტეტის ოთხელ სხდომებს [illegible] [illegible] [illegible]

კარგი შრომისათვის — კარგი ანაზღაურება

ასეთია ზესტაფონელ მევენახეთა აზრი

სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია შრომის ანაზღაურება, მატერიალური დაინტერესება, რაც წინ სწევს საქმეს, სტიმულს აძლევს საოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას. პარტიის პროგრამაში ასეა ჩაწერილი: „კარგი შრომისათვის, უკეთესი შედეგებისათვის — უფრო მაღალი ანაზღაურება“.

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის კოლმეურნეობის მევენახეთა საინტერესო წერილი. ჩვენ საგანგებით ვეთანხმებით ვაქირელ მევენახეებს.

ამ საკითხებზე ვიმსჯელეთ სწორედ ჩვენი კოლმეურნეობის საერთო კრებაზე, სადაც გადავწყვიტეთ საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარებას, მის შემდგომ წინსვლას საფუძვლად დაედოს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება, კარგი შრომისათვის — კარგი ანაზღაურება.

ჩვენ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის მევენახეობის ბრიგადებმა, ყურძნის მაღალი და მყარი მოსავლის მიღებისათვის ვალდებულება ვიკისრეთ მიმდინარე წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო საბუმეოო ვენახებში შევასრულოთ ისეთ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, რომ საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 65 ცენტნერი ყურძენი, რაც 20 ცენტნერით გადააჭარბებს გასული წლის ყურძნის საშუალო მოსავლიანობას. 1962 წელს სახელმწიფოს მივყიდოთ სულ ცოტა 330 ტონა ყურძენი.

ასეთი შრომისა და მოსავლიანობის პირობებში, კიდევ უფრო დიდი იქნება მევენახეთა მატერიალური დაინტერესება, მათი შრომის ანაზღაურება. ამ მიზნით გადავწყვიტეთ მევენახეობის რგოლებში, რგოლის შიგნით ინდივიდუალურად მომაგრებულ ვენახის ნაკვეთებზე მომუშავე კოლმეურნეებს შრომადღეების დარიცხვის გარდა მივცეთ ფულად ფაქტიურად მიღებული ყურძნის ღირებულების 20 პროცენტი, თუ მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 21-30 ცენტნერი; 23 პროცენტი — თუ ჰექტარზე მოსავლიანობა შეადგენს 31-60 ცენტნერს; 25 პროცენტი — თუ მოსავლიანობა უდრის 61-100 ცენტნერს; ხოლო 30 პროცენტი — თუ მოსავლიანობა გადააჭარბებს 100 ცენტნერს.

გარდა ამისა, მევენახე კოლმეურნეებს, რომლებიც ყურძნის მოსავლიანობის დაწესებულ გეგმას შეასრულებენ, მიეცემათ ფულად მთლიანად მიღებული ყურძნის ღირებულების 5 პროცენტი, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას კი — გეგმის ზევით მიღებული ყურძნის ღირებულების 60 პროცენტი.

ახალგაზრდა ვაზის გაშენებაზე მომუშავე კოლმეურნეებს გაშენების პირველ წელს ვაზის ნარგავების 85 პროცენტს ზევით გახარებულ თვითეულ ძირში მიეცემათ 15 კაპიკი, გაშენების მეორე წელს ამ ფართობზე მიღებული ყურძნის ღირებულების 75 პროცენტი. მესამე წელს — მიღებული ყურძნის ღირებულების 50 პროცენტი. სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ გამოდგული ან გადაწვენით გახარებული თვითეული ძირი ვაზისათვის კოლმეურნეს მიეცემა 15 კაპიკი.

ვაზის სადედე და სანერგე მეურნეობიდან გეგმის შესრულების შემთხვევაში კოლმეურნეებს მიეცემათ ფულად მიღებული პროდუქციის ღირებულების 5 პროცენტი, გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში — გეგმის ზევით მიღებული პროდუქციის ღირებულების 70 პროცენტი.

საერთო კრებამ გადაწყვიტა მევენახეობის ბრიგადირს მიეცეს მის ბრიგადაში საშუალოდ ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე გაცემული თანხის 125 პროცენტი, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — საშუალოდ ერთ ბრიგადირზე გაცემული თანხის 125 პროცენტი, ხოლო აგრონომს, ბუხჰალტერს და ეკონომისტს — თავმჯდომარეზე გაცემული თანხის იმდენი პროცენტი, რამდენიც მათ შრომის ძირითადი ანაზღაურების სახით ეძლევათ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შრომის ანაზღაურების ასეთი წესით დიდად ამაღლდება მევენახე კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება, ხოლო ეს გამოიწვევს საზოგადოებრივი მევენახეობის მძლავრ განვითარებას, საშუალებას მოგვცემს წარმატებით გადავწყვიტოთ ის ამოცანები, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მიერ არის დასახული ჩვენი კოლმეურნეობის მევენახეობის წინაშე.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დავალებით:
ს. ვ. არსენაშვილი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მ. ი. ქველაძე** — აგრონომი, **ი. ბ. ბიწაძე** — პარტიული ორგანიზაციის მდივანი, **ტ. ბ. ქველაძე** — კომკავშირის კომიტეტის მდივანი. **ბ. ა. კვანტრიშვილი** — მესამე ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. **შ. ა. გოგოლიძე** — მეოთხე ბრიგადის ბრიგადირი, **ნ. ა. კვანტრიშვილი** — რგოლის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, **ბ. ბ. კვანტრიშვილი, კ. ს. სირაძე, ვ. ს. კვანტრიშვილი** — მოწინავე მევენახეები.

ფოტო ე. ციციაშვილისა.

პროპაგანდა და ცხოვრება

ეს ნამდვილად კომუნისტურია

პროპაგანდისტ გ. გურეშიძის მისაბაძი მაგალითი

მიმდინარე წლის დამდეგიდანვე ცუდად დაიწყო მუშაობა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 1 სამსხმელო საამქროს კოლექტივმა. თვენახევარი ისე გავიდა, რომ აქ ვერც საწარმო დავალება შეასრულეს და ვერც წუნი შეამცირეს.

ღია პარტიულ კრებაზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა საამქროს ჩამორჩენის მიზეზებზე, მისი აღმოფხვრის გზებზე.

ვიღრე საკითხს საბოლოოდ გადაჭრიდნენ, სიტყვა ითხოვა საამქროს პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი სკკპ ისტორიის შესწავლელი წრის პროპაგანდისტმა გივი გურეშიძემ. კრების მონაწილეებს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ — ჩვენი პროპაგანდისტია, მაგრამ ჩვენს საამქროში ან ქარხანაში ხომ არ მუშაობს, რა უნდა თქვას საამქროს მუშაობაზე პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა? მოვა, მეცადინეობას ჩაატარებს, დაგვემშვიდობება და მერე... მორიგ მეცადინეობამდე კერ ნახავ.

— მართალია, — დაიწყო პროპაგანდისტმა, — ძირითადად ინსტიტუტში, სკკპ ისტორიის კათედრაზე ვმუშაობ, მაგრამ ლექციებისგან თავისუფალი დღეებიც მაქვს. გადავწყვიტე, თუ კი თქვენც დამეთანხმებით, კვირაში ერთ დღეს — **ყოველ ოთხშაბათს მოვიდე თქვენთან საამქროში და ფიზიკურად ვიმუშაო.** რა თქმა უნდა, თქვენ ცოტას დაგეხმარებით. სამაგიეროდ საამქროში მუშაობა ბევრს დამეხმარება მე, რათა ნამდვილად განვამტკიცო პოლიტიკური სწავლების კავშირი ცხოვრებასთან, უფრო საინტერესო და ქმედითი გავხადო წრის მუშაობა.

გაკვირვებას ახლა ზოგიერთების გაოცებაც კი მოჰყვა. ჩუმ-ჩუმად ალაპარაკდნენ ბიჭები:

— რაში სჭირდება ჩვენთან მუშაობა?.. სიტყვის თქმა ადვილია, შეძლებს კი?... ვნახოთ...

და მართლაც ნახეს... იმ დღიდან ყოველ ოთხშაბათობით პარტიის იდეური ჯარისკაცი ახალ საბრძოლო პოსტზეც დგას — საამქროს სამსხმელო უბანში შემომჭრელად მუშაობს.

ხედავენ ახლა ბიჭები, რა ზუსტად და უწუნოდ ასრულებს პროპაგანდისტი ოპერაციას — აკმომბილის კაბინის კარების სახელურების სხმულზე ფხაუერების შემოჭრას. ხედავენ და კმაყოფილებით ამბობენ:

— სიტყვის და საქმის ერთობაც ამას ჰქვია. მოდი და ნუ იმუშავებ ახლა უფრო ბეჯითად...

საამქროს ხელმძღვანელებმა პროპაგანდისტთან ხელფასზე, შრომის ანაზღაურებაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი.

არ მოელოდა ამას გივი გურეშიძე. გაანა საამქროში მუშაობით სურს დამატებით მიიღოს რაიმე?

— დაე თქვენთან ერთად მეც შევიტანო ჩემი მცირედი წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებაში. გთხოვთ ჩემი გამომუშავება მთლიანად გადარიცხოთ ეკონომიის ფონდში,— მტკიცედ განაცხადა პროპაგანდისტმა.

ეს ეხმარება პროპაგანდისტს, რათა მან შთაგონებით, ცოცხლად და მიზანსწრაფულად გამართოს ყოველი საუბარი. ყოველთვის ბევრი მასალა აქვს პროპაგანდისტს იმისათვის, რომ საამქროს მუშაობის კონკრეტულ ფაქტებზე, პრაქტიკულ ამოცანებზე ესაუბროს თავის მსმენელებს, აღაგზნოს მათი გული პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად აქტიური ბრძოლისათვის. ასეა ჩრეში, ასევეა აუდიტორიაში, როცა იგი ლექციებს კითხულობს სტუდენტთა წინაშე.

კომუნიზმის იდეების პროპაგანდისტი ამ იდეების პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლის ორგანიზატორიც გახდა.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: პროპაგანდისტი გივი გურეშიძე საწმენდი სხმულის ჩარხზე მუშაობის დროს.

თეორიული კონფერენცია

ჭიათურა. (საკ. კორ.). **ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია პოლიტიკური განათლების კაბინეტი, რომელსაც პროპაგანდისტი გ. ეზიაშვილი ხელმძღვანელობს. ამას წინათ კაბინეტის თაოსნობით აქ გაიმართა თეორიული კონფერენცია თემაზე — „თანამედროვე ეკონომიკა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში“.**

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ ინჟინრები ზ. ციცვიძე, გ. გოგუაძე, ეკონომისტი გ. კიკნაძე, აბრეთვე ჭიბნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები ბ. ფერეთელი, მ. შველაშვილი და პ. ფალავანდიშვილი.

კომუნისტი 33-2 33. 28 მარტი, 1962.

კომუნიზმის მუსიკალური კულტურისათვის

კომპოზიტორთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე

საბჭოთა კომპოზიტორების III სრულიად საკავშირო ყრილობა შეიკრიბა ღირსსახსოვარ დროს, როცა შემოქმედებითი მგზნებარებით გამსჭვალული მთელი საბჭოთა ხალხი ახორციელებს სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს, თქვა სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ტ. ნ. ხრენიკოვმა.

ეს ამოცანები ისევე შესრულდება, როგორც ხორცელდებოდა პარტიის იდეები საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე. მილიონობით საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი შრომით შენდება და აშენდება კომუნიზმი, რომელიც ამკვიდრებს ქვეყნად კაცობრიობის საუკეთესო ორგანებს: შრომობას, შრომას, თავისუფლებას, ყველა ხალხის თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას! ამ დიადი მიზნის მიღწევის გზა გააშუქა პარტიის ახალმა პროგრამამ — თანამედროეობის კომუნისტურმა მანიფესტმა, როგორც უწოდებენ სამართლიანად მსოფლიოს პროგრესული ადამიანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას.

პროგნების კულტის შედეგების ლიკვიდაციამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, განაგრძო მომხსენებელმა. ცენტრალურმა კომიტეტმა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა მხატვრული კულტურის დარგში, რამაც უდიდესი როლი შეასრულა ახალ ეტაპზე ხელოვნების განვითარებაში. დიდი მადლიერების გრძნობით შეხვდნენ ხელოვნების მოღვაწენი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილებას „ოპერების — „დიადი მეგობრობა“, „ბოგდან ხმელნიცკი“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ“. ამ დადგენილებამ ახალი, გამაჯანსაღებელი დასაბამი მისცა ჩვენი შემოქმედებითი შრომის საერთო ატმოსფეროს. მთავრობამ დაიწესა ლენინური პრემიები მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში. და ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ამ საპატიო, ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი პრემიის პირველ laureatebs შორის, პრემიისა, რომელიც ახალისებს ყველაზე პროგრესულს, მნიშვნელოვანს საბჭოთა კულტურაში, იყვნენ კომპოზიტორები ს. პროკოფიევი, დ. შოსტაკოვიჩი, ა. ხაჩატურიანი, ვ. სოლოვიოვ-სედოი და: გ. სვირიდოვი და მათთან ერთად — ჩვენი თანამოძმენი, მუსიკოს-შემსრულებლები დ. ოისტრახი, ე. მრავინსკი, ს. რიხტერი.

დაუვიწყარია მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან, რომლებზეც მეგობრულ, სრული ურთიერთობის ვითარებაში განიხილავდნენ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საქმეებს. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებმა ამ შეხვედრებზე, მისმა შესანიშნავმა ნაშრომმა „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“ წარმოსახეს მთელი სიღრმე და სიდიადე ხელოვნების ახალი ამოცანებისა კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში. ეს გამოსვლები დაეხმარა კულტურის იმ მოღვაწეებს, — დროზე შეგეგნოთ და დაეძლიათ თავიანთი შეცდომები, რომლებსაც სწორად არ ჰქონდათ წარმოდგენილი მხატვრული შემოქმედების ამოცანები საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ახალ ეტაპზე.

ადამ, ამ ტრიბუნიდან კვლავ გაისმა ჩვენდამი მომართული სიტყვა პარტიისა, საბჭოთა მუსიკალური კულტურის მოღვაწეებისადმი დიდი გულთადობითა და ნდობით აღსავსე. სიტყვა, რომელიც ალაფრთოვანებს ყოველ ჩვენგანს შემოქმედებითი შრომისათვის კომუნიზმის დიადი იდეალებისათვის.

შეეცადოთ, ამხანაგებო, მთელი ჩვენი საქმიანობით ვიყოთ ღირსნი მშობლიური პარტიის დიდი ნდობისა.

ეს ხუთწლეული შეიძლება დავახასიათოთ, როგორც კომპოზიტორთა შემოქმედების ახალი აღმავლობის პერიოდი. ამ წლების განმავლობაში ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, თუ რა გამლიერით და ყველგან გაიზარდა საბჭოთა მუსიკის ახალი შემოქმედებითი ძალები, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების პრინციპების საფუძველზე ვითარდებიან. უფროსი თაობის ოსტატებთან ერთად აქტიურად და ნაყოფიერად გამოჩენა თავი ახალგაზრდობამ. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომპოზიტორთა შემოქმედებაში ბატონობს მთავარი თემა — თანამედროეობის თემა. დიდი ლენინის უკვდავი სახე, საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობა, მშვიდობისათვის ბრძოლა, კოსმოსის დამორჩილება, პირველი კოსმონავტების უკვდავი საგმირო საქმენი, დიდი სამამულო ომის მოვლენები, და ბოლოს, მარად ძვირფასი ისტორიულ-რევოლუციური თემები — ასეთია იდეებისა და სახეების ფართო წრე, რომლებიც უკანასკნელი წლების საბჭოთა მუსიკაში ისახა.

მომხსენებელმა დაახასიათა მუსიკალური შემოქმედების მდგომარეობა და ამოცანები და ილაპარაკა ორ ყრილობას შორის არსებულ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებზე, იმ წელილზე, რომელიც კულტურის საერთო საგანძურში შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკის კომპოზიტორებმა სხვადასხვა ჟანრის წარმომადგენლებმა — დ. შოსტაკოვიჩმა, გ. სვირიდოვმა, ა. ხაჩატურიანმა, კ. დანკევიჩმა, გ. მაიბოროდამ, ვ. მურადელმა, კ. ბაბაევმა ო. თაქთაქიშვილმა, ა. ბალასანიანმა, კ. კარაგაევმა, ფ. ამიროვმა, ე. კაპმა, ა. ნიკოლაევმა, ი. იუზელიუნასმა, ვ. სოლოვიოვ-სედოიმ, ს. ტულიკოვმა, ა. პახმუტოვამ, ა. ხოლმინოვმა, მ. ვაინბერგმა, ე. მირზოიანმა, რ. შიედრინმა, ა. ეშპაიმ, კ. ლისტოვმა, ბ. კირეევმა, რ. ბაჯიევმა და მრავალმა სხვამ.

ტ. ხრენიკოვი შეჩერდა ვოკალურ-სიმფონიური და მუსიკალურ-დრამატული ჟანრების ზოგიერთ ნაწარმოებებზე, რომლებშიც განსაკუთრებული თვალსაჩინოებით ვლინდება ახალი შინაარსისა და ახალ მხატვრულ საშალებათა ერთობა. მომხსენებლის აზრით, გამოსახველ საშუალებათა განახლება უწინარეს ყოვლისა იწყება ვოკალურ-სიტყვიერი ინტონაციის განახლებით. ეს ითი აიხსნება, რომ ადამიანის ფსიქიკა, მისი გრძნობებისა და აზრების წყობა, მისი სულიერი ცხოვრების რიტმი მკაფიოდ გამოიხატება მისი სიტყვის ხასიათით, ამ სიტყვის ინტონაციური შინაარსით. სწორედ ამით აიხსნება საბჭოთა კომპოზიტორების, და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტერესის აღორძინება ვოკალური და ვოკალურ-სიმფონიური ჟანრებისადმი.

მრავალი ნაკლის მიუხედავად, ჩვენ უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, ნახს უსვამს მომხსენებელი, და ეს ისტორიული ფაქტია, რომ საბჭოთა ოპერა არის, საბჭოთა ოპერა არსებობს. ყოველ წელიწადს ჩნდება ახალი ოპერის პრემიერები. ამ ჟანრის ზოგიერთი ნაწარმოები თავის სასცენო იუბილეს აღნიშნავს. მაგალითად, შარშან წარმატებითი სცენური ცხოვრების 10 წელი შეუსრულდა დ. კაბალევსკის ოპერას „ტარასის ოჯახს“, გაისად ასეთივე იუბილე ექნება ი. შაპორინის „დეკაბრისტებს“. ს. პროკოფიევის, დ. კაბალევსკის, ვ. შებალინის, ნ. ჟიგანოვის, ა. სპადავეკიას, ი. მეიტუსის, კ. მოლჩანოვისა და სხვათა ოპერები წარმატებით იდგმება საზღვარგარეთის ქვეყნების ბევრი თეატრის სცენაზე.

გამრავლდა საბჭოთა კომპოზიტორებს საბალეტო შემოქმედების მიღწევები.

ტ. ხრენიკოვი ლაპარაკობს საბჭოთა სიმფონიშის განვითარების დამახასიათებელ ნიშნებზე, იმ ახალზე, რაც უკანასკნელ ხანს გაჩნდა. ყალბი დრმა აზროვანი, ნაღვლიანი „ტრაგედიული“ ემოციებით გამსჭვალული ნაწარმოებების ნაცვლად, რომლებსაც არც ისე დიდი ხნის წინათ ქმნიდნენ ახალგაზრდა ავტორები, ეღერს სიმფონიები, რომლებშიც ფაქიზად არის გადმოცემული საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს ნათელი ლირიკული მხარეები.

ამ ხანებში დიდი ადგილი დაეთმო სიმღერის ჟანრის პრობლემებს. წლების მანძილზე დიდი მოქალაქეობრივი ეღერადობის ბევრი სიმღერა შეიქმნა. მაგრამ ჯერ კიდევ ჩნდება სიმღერები — თითოდღიანი, შაბლონური, რომლებიც კვდება მას შემდეგ, რაც ერთხელ გაისმის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ საბჭოთა სიმღერა, თავისი საბრძოლო ტრადიციების ერგიული, გახდეს ქმედითი, ოპერატიული და ბასრი მუსიკალური იარაღი კომუნისტური საზოგადოების ახალი ადამიანისათვის, ჩვენი ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში, ამბობს ტ. ხრენიკოვი.

ჩვენი დროის მთავარი იდეოლოგიური ამოცანაა ახალი ადამიანის აღზრდა. მუსიკა ამ მხრივ განსაკუთრებით ქმედითია. ჩვენი დროება საბჭოთა მხატვრებს უსახავს მასებზე ხელოვნების ზემოქმედების ფრონტის ყოველმხრივი გაფართოების ამოცანას. ჩვენ მოვალენი ვართ დავეხმაროთ ადამიანს — იცხოვროს ახლებურად, იცხოვროს კომუნისტური მორალური კოდექსის შესაბამისად. განა საჭიროა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ახლა ფართო სახალხო აუდიტორიის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, მხატვრებისათვის?!

მომხსენებელი შეეხო ხალხურობის ცნებას ხელოვნებაში, და თქვა, რომ მთავარი, ძირითადია თანამედროეობის ასახვა მხატვრულ ნაწარმოებებში. პარტიის მოწოდება თანამედროეობის თემების გაბედული ნოვატორული დამუშავებისათვის სახავს შემოქმედებითი ძიების გზას ამ თემების განხორციელებით, მაგრამ ამავე დროს აფრთხილებს მხატვრებს ფსევდონოვატორული, ფორმალისტური, თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ექსპერიმენტებისაგან. ახალი მხატვრული ფორმის ძიება არ შეიძლება ნაყოფიერი იყოს, როცა იგი თვითმიზნად იქცევა.

დროა ვიფიქროთ დიდი ფორმის მუსიკაზე, რომელიც აყალიბდება სახალხო დღესასწაულებზე როგორც მხატვრული გახზოგადება ხალხის ფიქრებისა და გრძნობებისა. ფორმებისა და ჟანრების მრავალფეროვნებას კომპოზიტორისაგან მოელიან მუსიკალური თვითმმქმედება, ხალხური ინსტრუმენტთა ანსამბლები, სიმფონიური ორკესტრები და ანსამბლები. ჩვენში თითქმის არ არის სატირული ნაწარმოებები, რომლებიც ამხილებენ კონსერვატიულობას, მეშჩანობასა და ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო სხვა მოვლენებს.

კომპოზიტორთა კავშირის რიგებში 42 ეროვნების წარმომადგენლები არიან გაერთიანებული. ეს სოციალისტური მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა ჭეშმარიტად ძმური თანამეგობრობაა. კომუნისტური მშენებლობის პროცესში სულ უფრო მჭიდროდ უახლოვდებიან ერთმანეთს სოციალისტური ერები, მათი კულტურები. ჩვენ ამავე დროს ვიცავთ ერთნაირ საწყისებს მუსიკაში, ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ კოსმოპოლიტური ტენდენციების წინააღმდეგ, რაც ესოდენ ტიპიურია ბურჟუაზიული ხელოვნებისათვის, თქვა ტ. ნ. ხრენიკოვმა. არ შეიძლება ხალხური, დემოკრატიული იყოს ხელოვნება, რომელიც მოკლებულია ერთნაირ საწყისებს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი ეროვნული კულტურების განვითარება მიმდინარეობს არა კარჩაკეტილად, არამედ მოძმე რესპუბლიკების კულტურებთან კავშირითა და მჭიდრო ურთიერთმოქმედებით. მუსიკალური კულტურების ახალი შინაარსისა და სულ უფრო ფართო ურთიერთობის ზეგავლენით იქმნება ახალი მხატვრული ტრადიციები.

უდავოა რუსული კლასიკის, რუსული, საბჭოთა მუსიკის გავლენა მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორთა შემოქმედებაზე. ამავე დროს მოძმე მუსიკალურ კულტურებთან ურთიერთმოქმედების პროცესმა დიდად გაამდიდრა და ამდიდრებს რუსულ საბჭოთა მუსიკას. ჩვენი მუსიკალური კულტურების დაახლოების პროცესში დიდ როლს ასრულებს მხატვრულ ფასეულობათა ურთიერთგაცვლა. ჩვენ კულტურის სამინისტროების, რადიოს, ტელევიზიის, ფილარმონიის, გამომცემლობათა ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ საჭიროა ძირეულად გადუმჯობესდეს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის კომპოზიტორთა შემოქმედების პროპაგანდა.

მგზნებარედ, დაინტერესებით რომ გაუწევს პროპაგანდას მუსიკალური კულტურის მიღწევებს, მუსიკალურმა კრიტიკამ გულისხმიერად უნდა დაიცვას მხატვრები შეცდომებისა და დაბნეულობისაგან, დამაჯერებლად და დროულად დაეხმაროს მათ სწორი გზის ძიებაში, წარმართოს მათი ინტერესები ჩვენი ხელოვნების მთავარი ამოცანების გაოსპერეულად. პარტიის XX ყრილობის შემდგომ გაფელილ წლებში საბჭოთა მუსიკისმცოდნეობაში მიმდინარეობდა იმ დოგმების დაძლევა, რომლებიც აფერხებდნენ მუსიკალურ-თეორიული აზრის განვითარებას. მუსიკისმცოდნეობა თავისუფლდებოდა ვიწრო კრიტერიუმებისაგან, რომლებიც ხელს უშლიდნენ წარსულისა და თანამედროვეობის შემოქმედებითი მოვლენების სწორ შეფასებას. ჩვენი მუსიკისმცოდნეობის წინაშე დასახულია ამოცანა — ყოველმხრივ გამოავლინოს სოციალისტური რეალიზმის არსი მუსიკაში, დამაჯერებელი ესთეტიკით დაამუშაოს ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემები. პრესამ, კრიტიკამ, ლექტორებმა ფართო პროპაგანდა უნდა გაუწიონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში ჩაწერილ ესთეტიკურ დებულებებს.

მთელ მსოფლიოში გაისმა პარტიის ახალი პროგრამის მიერ გამოცხადებული იდეები ხალხთა თავისუფლების, სამართლიანობის, ძმობის დამკვიდრებისა, თქვა დასასრულ მომხსენებელმა. შთაეუნერგოთ ადამიანს პარტიის პროგრამაში აღბეჭდილი იდეების რომანტიკა, შთავაგონოთ იგი ამ იდეების სრული გამარჯვებისათვის საბრძოლველად — ასეთია საბჭოთა კომპოზიტორების კეთილშობილური და მშვენიერი მისია.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

კაპროლაქტამი — ყურადღების ცენტრში!

ბიბლიოთეკა

შეიძლება ყველამ არც კი იცის, რომ სინთეზური ბოჭკოსათვის, რომლისგანაც კაბრონის შესანშნავ ძაფს იღებენ და რომელსაც ახლა ესოდენ დიდი გამოყენება აქვს ჩვენს სახალხო მეურნეობაში, ერთ-ერთ ძირითად ნედლეულს წარმოადგენს კაპროლაქტამი. და აი, რუსთავში ეწყობა კაპროლაქტამის წარმოება და შენდება სინთეზური ბოჭკოს ქარხანა. ორივე ეს აზოტოვანი საუქების ქარხანასთან ერთად წარმოდგენს რუსეთის ბელიკის დიდი ქიმიის რუსთავის ობიექტებს.

რა ნედლეულისაგან მიიღება თვით კაპროლაქტამი?

სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ა. შათირიშვილმა თქვა:

— მრავალი შენაერთია საჭირო, მაგრამ ძირითადი მაინც გროზნოდან მიღებული ფენოლი და თვით რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში წარმოებული წყალბადი, ამიაკი და ამონიუმის ნიტრატი იქნება...

ჩვენი თანამგზავრი, ამავე ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ნ. ხუხუნაშვილი გვეუბნება, რომ კორპუსი კაპროლაქტამისათვის რომ შენდება, აზოტოვანი სასუქების ქარხნის გაფართოებაა.

დავათვალიერეთ ქარხნის საამქროები. აქ დიდ ეა სასარგებლო მუშაობას ეწევიან, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის იძლევიან მაღალხარისხოვან სასუქებს.

— სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების გამოშვება კიდევ უფრო გაიზრდება, როცა საექსპლატაციოდ გადაეცემა კაპროლაქტამის წარმოება, — გვეუბნება ნ. ხუხუნაშვილი და იქვე უმატებს, რომ ამ სასუქს, რომელიც აქ დამზადდება, სულფატამონიუმი ეერქმევა.

გავიარეთ ქარხნის საამქროები, გამოჩნდა ვეებერთელა სამშენებლო მოედანი. კორპუსების მშენებლობა თითქმის დამთავრებულია.

...მშენებლობაზე ჩვენ შეეხვედით კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს გ. დემეტრაშვილს, დიერგლებს უსინჯაშვილს, ვ. ოშაყმაშვილს და კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელს მ. ბილიხოძეს. გამრჯე ბიჭები არიან, თავისი საქმის . ნამდვილი ოსტატები, აი აგერ რომ ნ-სართულიანი კორპუსია, იგი მთლიანად გ. დემეტრაშვილის ბრიგადამ აეშენა და ახლა მეზობელ კორპუსზე მუშაობს.

ბრიგადირს სახეზე მოუსვენრობა ეტყობა. სამმართველოს უფროსს შესჩივლა, რომ ზღუდარები არ მოუტანიათ და ამიტომ იძულებული შეიქნა თვითონ წასულიყო ჩაინბატონის კონსტრუქციების კომბინატში, დაეჭირავებინა მანქანა და მოეტანა. მაგრამ აქ მოატყუეს, 12 ცალი ზღუდარი ტექნიკური კონტროლის მიერ დაუდასტურებელი გამოატანეს.

ცხადია, ასეთი საშენი მასალის გამოყენება არ შეიძლება. მაშასადამე, ცალკე მოცდენაა.

— ხშირად გაქვთ მოცდენა ზღუდარების უჭონლობის გამო? — ვეკითხებით ბრიგადირს.

— რა თქმა უნდა, ხშირად, — არის პასუხი.

მაგალითად, გასულ თვეში 32-ის ნაცვლად მივიღეთ მხოლოდ 16 ცალი.

— კიდევ რა გიშლით ხელს?

— ბევრი რამ, მაგრამ განსაკუთრებით ის, რომ არ გაგვაჩნია რკინის ხარაჩოები, თუმცა არც ხისა გვაქვს საკმაოდ.

იქვე ამწე დგას.

— ამას რაღა მოუვიდა?

—მაგან ხომ „ეკლეკი“ გაგვიჩინა. ელექტროენი გადადის. მაგის წესრიგში მოყვანას არა ეშველა რა, მერე და ამწე ყველაზე უფრო გვჭირდება ახლა, როცა კორპუსის უკანასკნელ სართულს ვაშენებთ. ამას თავი დავანებოთ. სხვა მექანიზმებიც არ მუშაობენ მთელი დატვირთვით.

— რატომ?

— მემანქანეები აკვიანებენ. დილით ერთი-ორი საათით გვიან მოდიან, ხოლო საღამოს დროზე აღრე მიდიან. პასუხს კი არავინ არა სხოვს...

ქიმიური მრეწველობის განვითარების დაჩქარების მიზნით ჩვენი ქვეყნის მრავალი ქიმიური ობიექტი გამოცხადებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტად. ასეთ ობიექტებად ითვლება რუსთავში სინთეზური ბოჭკოსა და კაპროლაქტამის წარმოებისათვის კორპუსების მშენებლობები.

და რაოდენ არასასიამოვნო და აღმაშფოთებელია, რომ მშენებლობის გეგმები რეგულარულად, დათქმულ ვადებში არ სრულდება. მაგალითად, გასულ წელს კაპროლაქტამის ქარხნის მშენებლობის გეგმა მხოლოდ 75,2 პროცენტით შესრულდა. ამან გამოიწვია ის, რომ მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა, რაც შარშან მეოთხე კვარტალში იყო დანიშნული, გადმოტანილ იქნა წელს მეორე კვარტალში. საქმის ვითარების ღრმად გაცნობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ასეთი მუშაობის პირობებში ეს ახალი ვადაც შეიცვლება.

საქმე ის არის, რომ მშენებლები მეტად არადამაკმაყოფილებლად მართგდებიან მოწყობილობით, დანადგარებით, სხვა აუცილებელი მასალებით. ასე, მაგალითად, მშენებლებს ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა მიეღოთ საღუმელე განყოფილებების ტუმბოები. მიუხედავად მრავალი შეხსენებისა და თხოვნისა, ტუმბოები ჯერ კიდევ არ არის მიღებული. ეს რას იწვევს? საღუმელე განყოფილების მშენებლობის ჩაშლას. მარშან უნდა მიეღოთ აგრეთვე ხიდური ამწეების მოწყობილობა, რაც ასევე იგვიან

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მთავრობამ დე იურე ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, საფრანგეთის მთავრობამ გაკვეთა განცხადება, რომელშიც შეეცადა წარმოედგინა სსრ კავშირის მთავრობა არა მოქმედება, როგორც არამეგობრული ეტაპი საფრანგეთის მიმართ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც 26 მარტს გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო, რომ, საფრანგეთის მხარის აზრით, საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შეჭარბუნება ელჩების დონეზე შეუძლებელი გახდა და რომ საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მ. დეფანი გაიწვევს პარიზში კონსულტაციისათვის.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობის შემსრულებელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა საბჭოთა მთავრობის დავალებით მიიღო საფრანგეთის ელჩი მოსკოვში და გააცნო მას საბჭოთა კავშირის პოზიცია ალჟირის საკითხში, აგრეთვე გამოთქვა საბჭოთა მთავრობის აზრი საფრანგეთის მთავრობის აღნიშნული მოქმედების არსის გამო. ანალოგიური განცხადება გაუკეთა სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. მ. კუვ დე მიურვილს.

საფრანგეთის მხარეს ეცნობა, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია არ გამოთქვა თავისი დიდი გაკვირვება საფრანგეთის მთავრობის მოქმედების გამო. საფრანგეთის მთავრობამ, როგორც ჩანს, ვერ გაიგო, ან სანთანდოდ ვერ შეაფასა საბჭოთა მთავრობის კეთილი ზრახვები ყოველი ღონისძიებით გაწამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა საფრანგეთთან. საბჭოთა კავშირში ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ საფრანგეთს მოეწესრიგებინა ალჟირის პრობლემა მოლაპარაკების გზით ფრანგი და ალჟირელი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით.

საფრანგეთის მთავრობისათვის, ნათქვამია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან არ უნდა ყოფილიყო რაღაც ახალი და მოულოდნელი. საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა მას მიაჩნია ალჟირელი ხალხის ნებისა და ინტერესების ერთადერთ კანონიერ გამომხატველად, მის ხელმძღვანელად ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ალჟირში ომის დამთავრებასა და შეთანხმებათა ხელმოწერას რომ მიეცესალმებით, აღნიშნულია განცხადებაში, ჩვენ გამოვთქვამთ მეგობრობისა და სიმპათიის გრძნობას რაგორც ალჟირელი, ისე ფრანგი ხალხისადმი. სინამდვილეში ის ფაქტი, რომ სსრ კავშირმა დე იურე ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, არაფერი არ არის მიმართული საფრანგეთის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის პოზიციის ასახვა ალჟირის საკითხში როგორც არამეგობრული საფრანგეთისა და ფრანგი ხალხისადმი შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც სურს გაუარესდეს საფრანგეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობა.

საფრანგეთის მთავრობის მოქმედება იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მთავრობამ დე იურე ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, არ შეიძლება მივიჩნიოთ სხვანაირად, თუ არა, როგორც ნაბიჯად, რომლის მიზანია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუარესება. საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ მთელი პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის გაუარესებისათვის და იმ შედეგისათვის, რომელიც აქედან გამომდინარეობს, ეკისრება საფრანგეთის მთავრობას. (საკდესი).

„თავისუფალი პრესის“ ინსტრუქტაჟი

ვაშინგტონი, 27 მარტი. საკდესის კორესპონდენტი მ. საღათელიანი იუწყება:

„გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტში დაიწყო ორდღიანი ინსტრუქტაჟი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ამერიკის შეერთებული შტატების პროვინციული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელთათვის. ინსტრუქტაჟს, რომელიც კარნაკეტლში მიმდინარეობს, ესწრებიან ამერიკის პრესის რვაასზე მეტი ორგანოს რედაქტორები და გამომცემლები. ეს ამერიკის პრესის უკვე მეოთხე ამგვარი შეკრებაა უკანასკნელი 14 თვის განმავლობაში.

პრესის წარმომადგენელთა წინაშე, ინსტრუქტაჟის პროგრამის თანახმად, გამოვა მთავრობის თითქმის ყველა წევრი, მათ შორის — ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რ. მაკნამარა და პენტაგონის სხვა ხელმძღვანელები, სახელმწიფო მდივანი, რასკი და სახელმწიფო დეპარტამენტის წამყვანი მოხელენი, ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ევროპაში გენერალი ნორსტადი, განიარაღების საქმეთა და შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხთა საგანგებო დირექტორი ფოსტერი. ინსტრუქტაჟი დამთავრდა პრეზიდენტ კენედის გამოსვლით.

შეერთებული შტატების „თავისუფალი პრესის“ წარმომადგენელთა ამ მორიგი შეკრების შესახებ პრესის ძუნწი კომენტარებიდანაც კი ჩანს, თუ რა მიზნით ხორციელდება იგი.

„მთავრობის წარმომადგენლები, — იუწყება საგაზეთო, — დღეს ამტკიცებდნენ, რომ შეერთებულმა შტატებმა ამჟამად ძლიერ გაუსწრეს საბჭოთა კავშირს თავიანთი „ატომური პოტენციალით“. ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს ცნობის თანახმად, ინსტრუქტაჟის მონაწილეებს ჩაეგონებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის უპირატესობა რაკეტული ტექნიკის დარგში სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საერთოდ ჩამორჩნენ სსრ კავშირს სამხედრო ტექნიკის დარგში.

ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს იმავე ცნობის თანახმად, ინსტრუქტაჟის მონაწილეებს განუცხადეს, რომ „შეერთებულ შტატებს ჯერჯერობით არ შეუქმნიათ სიძლიერეანი „უ-2“ თვითმფრინავის თანაბარი შემცველი რუსეთის ტერიტორიაზე ფრენის განხორციელებაზე. ოფიციალურ ცნობებად ეს ფრენები „ამერიკის ფრენა“ ეწოდებოდა. „ეს ფრენა, — ნათქვამია წერილში, — რომ საბჭოთა კავშირის წინადადება კოსმოსის გამოკვლევაში თანამშრომლობის შესახებ განხილულ იქნება სრული თანაგრძნობითა და გაგებით“.

მეცნიერები საბჭოთა წინადადებას ახასიათებენ, როგორც „მთავაგონებელს“ და აღნიშნავენ, რომ ამ წინადადებით „უნდა ისარგებლონ“ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ჟენევა, 27 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დოქტორმა ლ. ბოლცმა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობის მონაწილე ქვეყნების დელეგაციებს გაუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მემორანდუმი.

მემორანდუმში კომიტეტის განსახილველად წარდგენილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაზრებანი და წინადადებანი, რომ ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა და შემცირდეს შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი შეიარაღება ორივე გერმანულ სახელმწიფოში შესაბამისი კონტროლით.

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკდესი). მინეაპოლისის (მინესოტის შტატი) ხელოვნების ინსტიტუტში დაიხურა საბჭოთა ბავშვების მხატვრული და ტექნიკური შემოქმედების გამოფენა. გამოფენას მინესოტის შტატის მცხოვრებთა დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც გაზეთი „მინეაპოლის მორნინგ ტრიბუნი“ იუწყება, საბჭოთა გამოფენის მნახველთა რიცხვი რეკორდული იყო მინეაპოლისის ხელოვნების ინსტიტუტის სადემონსტრაციო დარბაზებისათვის.

ნიუ-იორკი, 27 მარტი. (საკდესი). 29 თვალსაჩინო ამერიკელმა მეცნიერმა გაუგზავნა პრეზიდენტ კენედის წერილი, რომელშიც ისინი მოუწოდებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს ითანამშრომლონ საბჭოთა კავშირთან კოსმოსის გამოკვლევაში. „ჩვენ გულით ვიმედოვნებთ, — ნათქვამია წერილში, — რომ საბჭოთა კავშირის წინადადება კოსმოსის გამოკვლევაში თანამშრომლობის შესახებ განხილულ იქნება სრული თანაგრძნობითა და გაგებით“.

მეცნიერები საბჭოთა წინადადებას ახასიათებენ, როგორც „მთავაგონებელს“ და აღნიშნავენ, რომ ამ წინადადებით „უნდა ისარგებლონ“ მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ“.

ფაშიზმს დაუნდობელი ბრძოლა

პარიზი, 26 მარტი. (საკდესი). შეთანხმების ხელმოწერა ალჟირში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მშვიდობის ძალების დიდი გამარჯვებაა, ალჟირელი ხალხის გამარჯვებაა, საფრანგეთის მუშათა კლასის, ფრანგი ხალხის გამარჯვება და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმატებაა, განაცხადა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა თავის გამოსვლაში საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 22 მარტს, რომლის შინაარსი დღეს გამოაქვეყნა „ლუმანიტემ“.

ალჟირელმა ხალხმა მიაღწია იმას, რომ ეცნოთ მისი სახელმწიფოს ხელშეუხებლობა, მისი ტერიტორიის, მათ შორის საჰარის მთლიანობა. ცნობილია აგრეთვე ალჟირელი ერის არსებობა.

ფრანგი ხალხისათვის, — ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ მ. ტორეზმა, — ცეცხლის შეწყვეტა დიდი წარმატებაა, ეს გამარჯვებაა, რომელიც არა მარტო ბოლოს უღებს სისხლისღვრას ალჟირში და ამხნევებს დედებს, ცოლებსა და საცოლეებს; იგი ნიშნავს ახალ პერსპექტივებს ეკონომიურ და სოციალურ დარგებში, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში და განსაკუთრებით ჩვენს უთიერთობაში საფრანგეთის ყოფილი კოლონიების ხალხებთან.

ალჟირში ცეცხლის შეწყვეტა ჩვენი პარტიის პოლიტიკის წარმატებაა. რადგან მხოლოდ ჩვენმა პარტიამ განსაზღვრა თავიდანვე სწორი პოლიტიკა, რადგან მხოლოდ მან განაცხადა, რომ ალჟირში მშვიდობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცნობის საფუძველზე.

მ. ტორეზმა ილაპარაკა იმ პოლიტიკის სისწორეზე, რომელსაც ალჟირის შვიდი წლისა და მეტი ხნის კოლონიური ომის მანძილზე ახორციელებდა კომუნისტური პარტია, და შეეხო კონკრეტულ მოქმედებას, რომელსაც პარტია ახორციელებდა ალჟირის ომის უსწრაფესად შეწყვეტისა და იქ მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში. ფრანგ პატრიოტთა, ყველა რესპუბლიკელთა და დემოკრატთა მამაცურმა ბრძოლამ ალჟირში მშვიდობის დამყარებისათვის, განაცხადა მან, შეცვალა ვითარება ალჟირში, რისთვისაც ანგარიში უნდა გაეწიოთ ოფიციალურ ხელისუფლებსა და მთავრობას. სწორედ ალჟირში შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიხედვით უნდა ეემზადოთ მომავალი რეფერენდუმისათვის, თქვა მ. ტორეზმა. რეფერენდუმზე ფრანგი კომუნისტები ეტყვიან „ჰოს“ მშვიდობას და „არას“ დე გოლს. ისინი ხმას მისცემენ მშვიდობას, რადგან მშვიდობა ჯერ კიდევ უნდა დაიცვან, მას უნდა მიაღწიონ, რადგან ცეცხლის შეწყვეტა ჯერ კიდევ მშვიდობა როდია.

ამჟამად, აღნიშნა შემდეგ ორატორმა, უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, ფაშიზმის ფრანგული ფორმის წინააღმდეგ, რომელსაც წარმოადგენს „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია“.

რეფერენდუმის დროს საფრანგეთის კომუნისტური პარტია შეძლებს დაანახოს ფრანგ ხალხს თავისი მკაფიო და მტკიცე პოზიცია ალჟირის საკითხში, დაანახოს, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა შეესაბამება საფრანგეთის ინტერესებს.

მ. ტორეზმა მოუწოდა გამოიყენონ რეფერენდუმისათვის მზადება და მისი მოწყობა აგრეთვე პარტიის მოსამზადებლად არჩევნებისათვის, რომელიც შეიძლება უფრო გვიან მოეწყოს. ასეთ მზადებას, ხაზგასმით აღნიშნა მან, საფუძველად უნდა დაედოს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პროგრამის პრაგმატიკა, რომელიც მიიღო საფრანგეთის კომპარტიის XVI ყრილობამ და რომელიც სახავს დემოკრატიის აღდგენისა და განახლების ნათელ გზას.

თავისი გამოსვლის დასკვნით ნაწილი მორის ტორეზმა მიუძღვნა პარტიის ამოცანებს მომავალი პერიოდისათვის, კერძოდ მუშაობას პარტიის რიგების შემდგომი განმტკიცებისათვის. ხალხის ფართო მასებზე პარტიის გავლენის გაძლიერებას, თქვა მან, მოწმობს ბრავალი მაგალითი. მაგალითად, პარიზში მარქსისტული წიგნის ტრადიციული ორი დღის გაყიდვის დროს პარტიის გამოცემები გაიყიდა შვიდი მილიონი ფრანკისა. ეს რეკორდული თანხაა სხვა წლებთან შედარებით. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დახმარების ფონდში ფრანგმა ხალხმა წელს შეაგროვა 160 მილიონი ფრანკი.

წელს, აღნიშნა შემდეგ მორის ტორეზმა, პარტიაში შემოვიდა 24 ათასი ახალი წევრი. შექმნილია ასობით ახალი პარტიული უჯრედი. გაკეთდა ბევრი, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია.

ყველა შესაძლებლობის გამოყენებით, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ მორის ტორეზმა, ფრანგი კომუნისტები უნდა დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რათა ალჟირში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ხალხი წაიყვანონ მშვიდობისათვის საბრძოლველად, ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მ. ტორეზის გამოსვლა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

რეფერენდუმისათვის საფრანგეთში

პრეზიდენტ დე გოლის სიტყვა

პარიზი, 27 მარტი. (საკდესი). პრეზიდენტმა დე გოლმა გუშინ რადიოთი და ტელევიზიით სიტყვა წარმოთქვა და ამით დაიწყო 8 აპრილის რეფერენდუმისათვის მზადების კამპანია. პრეზიდენტი წინადადებით მიმართავს ფრანგებს — მოიწონონ კანონპროექტი, რომელიც მან წარადგინა და ახალ საკანგებო რწმუნებულებებს მოითხოვს.

პრეზიდენტმა გამოთქვა აზრი, რომ არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია არ მოიწონოს ალჟირში ზავის ჩამოგდება.

„რამდენადაც საფრანგეთმა მოისურვა, რომ ალჟირი განაგებდეს თავის ბედს, — განაგრძო მან, — რამდენადაც საფრანგეთის არმიამ უზრუნველყო თავისი ბატონობა ტერიტორიაზე, რამდენადაც გადაწყდა, რომ ახალი ალჟირი ჩვენი დახმარების სანაცვლოდ პატივს სცემს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს და საჭირო გარანტიებს მისცემს ალჟირის ფრანგ მოსახლეობას, ომს აღარა აქვს რაიმე აზრი“. ამრიგად, დე გოლმა სცადა ჩაგონებინა თავისი მსმენელებისათვის, რომ ალჟირელმა ხალხმა მშვიდობა და თვითგამორკვევის უფლება მოიპოვა არა თავისი გმირული ბრძოლით, არამედ საფრანგეთის მთავრობის „წყალობის“ შედეგად. იგი ამტკიცებდა, რომ ალჟირი „ვერავისაგან“ ვერ მიიღებს ისეთ დიდსა და მუდმივ დახმარებას“, როგორც საფრანგეთისაგან, და მოუწოდა ალჟირის მომავალ სახელმწიფოს ითანამშრომლოს საფრანგეთთან.

თავისი სიტყვის დასასრულს დე გოლმა აღნიშნა, თუ რამდენად სერიოზულია ანალიზელი მდგომარეობა ალჟირში, „დამნაშავენი ცდილობენ თავდასხმათა საშუალებით მოახვიონ თავს თავიანთი ნება სახელმწიფოს და დაიმორჩილონ ერი“, მან განაცხადა, რომ „ამ დამნაშავეთა მომავალი მხოლოდ და მხოლოდ სასჯელია“.



სახიფათო ჯამბაზობა.

პიტინის ნახატი კუბის გაზეთ „ნოტიას დე ოიდან“.

ახალი მსხვერპლი ალჟირში

პარიზი, 26 მარტი. (საკდესი). 26 მარტს, 180 დჟრილი — ახალი, ოფიციალური ცნობებით, ქალაქ ალჟირში ჯარისკაცებსა და ოას-ელთა შორის დღეგანდელი სროლის შედეგი. სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებით მოკლულია 35 კაცი.

ტელეგრაფს ალჟირიდან მოაქვს საგანგაშო ცნობები. კოლონიალისტთა ბანდები თავგანწირულ ღონისძიებებს ხმარობენ, რათა არ დაუშვან ევიანის შეთანხმებათა განხორციელება. ისინი მზად არიან ამისათვის ჩაიდინონ ყოველგვარი ბოროტმოქმედება. პრაქტიკულად უკვე წარმოებს ძმათამკვლელი ომი, ფრანგები ეხვრიან ფრანგებს.

პარიზი, 26 მარტი. (საკდესი). დღეს დღისით ოას-ელებმა სცადეს იერიში მიეტანათ მთავრობის შენობებზე ქალაქ ალჟირის ცენტრში. როგორც ფრანს პრესის საგაზეთოს კორესპონდენტები იუწყებიან, მოედანზე შეკრებილმა რამდენიმე ასეულმა ფაშისტმა, სადაც თავმოყრილია მთავრობის დაწესებულებანი, „აარღვია პოლიციელთა ჯაჭვი. მაგრამ მათ შეხვდნენ „ანდარმერიისა“ და „უშიშროების რესპუბლიკური რაზმების“ მძიმე ტყვიამფრქვევების ცეცხლით. დაიწყო ორმხრივი სროლა. ფრანს პრესის საგაზეთოს ცნობით, ოას-ელები იძულებული იყვნენ უკან დაეწიათ ახლო-მახლო შესახვევებში.

ოას-მა გამოიწვია ეს ახალი სისხლისღვრა და მოუწოდა თავის წევრებს „გამოთქვან“ პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ჯარები და „ანდარმერია გარს შოერტყნენ გარეუბან ბაბ-ელ-უედს, სადაც ფაში მოიკიდეს ფაშისტმა მეამბოხეებმა. „დემონსტრაცია“ აკრძალეს ხელისუფლებმა. სინამდვილეში, პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით ოას-მა მოაწყო ეკოპელთა სასინჯი მობილიზაცია არაბთა უბნებზე თავდასხმის მოსამზადებლად.

საფრანგეთის ხელისუფალნი ამ უკანასკნელ დღეებში ცდილობენ შეიჯერონ ოას-ის მოქმედება. ალჟირის ქალაქებში ეწყობა ჩხრეკა-დაპატიმრება ეკოპელ უბნებში. ამის შედეგად ორაწმი შეიპყრეს ოას-ის ერთ-ერთი მეთაური — ყოფილი გენერალი ეუო, რომელსაც დაუსწრებლად სიკვდილი ჰქონდა მისჯილი ფაშისტურ აჯანყებაში მონაწილეობისათვის. ფაშისტებმა სცადეს მისი განთავისუფლება და თავს დაესხნენ ყარაულს, სადაც იგი იმყოფებოდა. ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა, ახლა ეუო გადაყვანილია პარიზის „სანტეს“ საპყრობილეში.

პარიზი, 27 მარტი. (საკდესი). ალჟირიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, მეამბოხეები გაფანტული არიან და ხელისუფალნი კონტროლს უწევენ ქალაქს. 26 მარტის საღამოს 6-7 საათისათვის ქალაქის ევროპული ნაწილის ქუჩები დაცარიელდა. სანტაარეულ მანქანებს გადაეყარა დჟრილები. ქალაქმა კვლავ მიიღო ელექტროდენი.

მაგრამ მდგომარეობა ალჟირში კვლავ დაძაბულია. ჯარი და პოლიცია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან თავიანთ პოზიციებზე მავთულხლართების მწკრივების უკან, რადგან გამორიცხული არ არის მეამბოხე ოას-ელთა ახალი გამოხდომები. ქალაქში დაფრინავენ ვერტმფრინავები, რომლებიც სადაზვერვო სამსახურს ასრულებენ.

ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთის სამხედრო სარდლობას ალჟირში გადაჰყავს ახალი მაშველი ძალები. მერს — ელ-ქებირში (სამხედრო ნავსაგური ალჟირში) დღეს დღისით ღუზა ჩაუშვა ხმელთაშუა ზღვის ესკადრის რამდენიმე ხომალდმა.

ARგენტინის ამბები

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო ბუენოს-აირესიდან იუწყება, არგენტინის პრეზიდენტმა ფრონდისიმ დაამთავრა ახალი კაბინეტის შედგენა. მაგრამ საგაზეთო ამტკიცებს, რომ სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელები კვლავ მოითხოვენ ფრონდისის გადადგომას.

ბუენოს-აირესი, 26 მარტი. (საკდესი). არგენტინაში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. პრეზიდენტ ფრონდისის ყველა ცდა — შეადგინოს კოალიციური მთავრობა, ჯერჯერობით წარმატებით არ დაგვირგვინებულა. პრეზიდენტის სასახლესა და პრეზიდენტის რეზიდენციაში დედაქალაქის გარეუბან ოლივოსში გაუწყვეტლივ ეწყობა ფრონდისის შეხვედრები უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო წრეების წარმომადგენლებთან.

სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლები მოითხოვენ ფრონდისის გადადგომას პრეზიდენტის პოსტიდან. სამხედრო-საჰაერო ძალების სახელმწიფო მდივანმა ადმირალმა გასტონ კლემენტმა პრეზიდენტთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს მოსთხოვა მას გადადგომა. როცა ფრონდისიმ უარი თქვა, ბ ა ბ ა ნ ი ნ ი ბ ი ბ ი ბ

ლიტერატურა და ხელოვნება

კუბა იმარჯვებს

„ტერეზას დაბადების დღე“
რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

სპექტაკლი უჩვეულოდ იწყება... თეატრის შესასვლელთან და დარბაზში ისმის კუბური სიმღერა. სცენას არ ფარავს ფარდა. შეხვალთ დარბაზში, და სხვა ცხოვრების წინაშე, აღმოჩნდებით. ეს მეუნიფორმიანი სანახაობა და რეჟისორ დ. ალექსიძის გაბედული შემოქმედებითი ძიება ბოლომდე გასდევს მთელ სპექტაკლს.

გიორგი მდივნის ამ ცნობილმა პიესამ კიდევ ერთი ახალი სიცოცხლე შეიძინა. იგი ხომ ოთხმოცზე მეტ თეატრში იდგმება!

კუბა საგანგებო მელოდიური სიმღერებით, ტემპერამენტული ცეკვებით. უსიმღერეროდ წარმოუდგენელია კუბელი ხალხის ცხოვრება. კუბელები ხომ სიმღერით ცოცხლობენ და სიმღერით კვდებიან! კუბელები მთელ მსოფლიოს აღაფრთოვანებენ, უმაგალითო სიმამაცით, ჭეშმარიტი გმირობით.

შეძლო თუ გერა გიორგი მდივნის პიესის დამდგმელმა, რეჟისორმა დ. ალექსიძემ კუბის ეროვნული კოლორიტის მონახვა?

რეჟისორი არ გამოსდევნებია გარეგნულ კოლორიტს, ფერადკანიანი ხალხის ეგზოტიკის გადმოცემას. რეჟისორი აფარფლებს მომხდარი ამბების ჩარჩოებს, რითაც გვიჩვენებს ქვეყნის ცხოვრების, ეპოქის მწვავე სოციალურ სურათებს, თუ როგორ აქცია კუბელმა ხალხმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა თავის სასიცოცხლო საქმედ.

განსაკუთრებით სასიხარულოა, როცა ყოველი ახალი დადგმა ხელოვანის ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებს ამქღავნებს, და ახალი ხერხებით მდიდრდება მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია. დ. ალექსიძის მიერ დადგმულ „ტერეზას დაბადების დღეში“ არის რაღაც ახალი, რაც მას განასხვავებს სხვა ნამუშევრებისაგან. ეს ახალი უცაბ ან გაეცემათ თვალში. სპექტაკლში განსაკუთრებული სიძლიერით ისახება ეპოქის გმირული სული, ამოდენებული, ნათელი იდეალებისათვის მებრძოლი თანამედროვე ადამიანის მორალური სახე.

რეჟისორი სპექტაკლს აგებს რიტმულად ცვალებადი ცხოვრების კონტრასტებზე. უსაზღვრო მხიარულებას, მომხიბლავ სიმღერებს და ცეკვებს ცვლის რეპროდუქტორის შეშფოთებული ხმა, რომელიც კონტრევოლუციონერების დივერსიულ გამოსვლათა ეუწყება. და ყველზე მძიმე მომენტებში შემოჭრება ოპტიმისტური მუსიკა (კომპოზიტორი დ. თორაძე), რომელიც თითქოს გვამცნობს, რომ ცხოვრება მაინც თავისი რიგით მიდის. გაისმის ეროვნული ჰიმნი, დოლის მკვეთრი ხმა გმირებს შემოკრებს, ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

კუბის ცხოვრება და საქმიანობა იგრძნობა ყველაფერში — დეკორაციებში, მუსიკაში, განათებაში, ჰაერშიც კი. რეჟისორს და მხატვარს (ფ. ლაპაშვილი) სპექტაკლი მხატვრულად განზოგადებული კუთხით აქვთ გაჯერებული.

პიესის მოქმედება კონკრეტულ ადგილზე — კაფეში მიმდინარეობს, საიდანაც მკაფიოდ ჩანს კუბის მომხიბლავი ბუნება. მოსალოდნელი იყო, რომ ბუნების ეგზოტიკა, უჩვეულო ფორმები და წარმტაცი ფერები გაჯერებდა მხატვარს, მაგრამ მან აირჩია გაცილებით უფრო რთული გზა, დეკორაციებში ჩაქსოვა სპექტაკლის ფილოსოფიური სიღრმე და შექმნა მისი განზოგადებული სახე, რომელიც დიდხანს დაამახსოვრდება მაყურებელს.

როგორც ძეგლი, როგორც დაუძლეველი ციხე-სიმაგრე, ამაყად აღმართულან შავი და წითელი მაღალი კედლები — გმირული კუბის სიმბოლო. ხოლო ღანარჩენი სივრცე უკავია სიცოცხლესავით უსაზღვრო, დაუსრულებელ კიბეებს. შესანიშნავი ფერები აირეკლება ყოველ სიგანში სცენაზე. ისინი გასაოცრად ელვარებენ განათების შუქზე. ფერებიდან განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ერთი ალისფერი, წითელი — რევოლუციური კუბის უძლეველობის სიმბოლო.

ტერეზას ოცდაერთი კოლტი უპირავს. დედა მიხვდა ყოველივეს, მიხვდა, რომ ყველაფერი გათავდა. იგი დახლთან ძივა, და სანამ ჰამილტონი ლაპარაკობს თავისი ამხანაგების გმირობაზე, დგას და ფიქრობს, უსმენს ამხანაგებს, თითქოს ძალას იკრებს. როდესაც ჰამილტონი გადასცემს კოლტს, ტერეზა ამაყად, ფაქიზურად მიიღებს, როგორც ეს კუბელ გმირ ქალს შეეფერება. და აქ ხდება გარდატეხა, დედის სიყვარული თითქოს ძლიერდება, და მაყურებელი ხედავს, რომ, მართალია, ტერეზამ დაკარგა შვილი, მაგრამ სამაგიეროდ შეიძინა ბევრი, ძალიან ბევრი შვილი, რომლებიც დაიცავენ სამართლიანობისათვის დიდ ბრძოლებში დაბადებულ ღამაზ ურთიერთობას ადამიანთა შორის.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა ისე ასრულებს ჰამილტონის როლს, რომ სურვილი გებადებათ მუხლი მოიდრიკოთ მისი სიმამაცის, ნებისყოფის, კეთილშობილური განზრახვის წინაშე.

მხოლოდ დიდი ხელოვანის ადამიანურმა და მსახიობურმა მომხიბვლელობამ, მაღალმა მოქალაქეობრიობამ შეძლებინა ა. ხორავას კუბისა და ესპანეთის გმირის — ჰამილტონის როლის ასე შთამბეჭდავად განხორციელება.

უბადლოდ ატარებს ხორავა ჰამილტონის საკვდილის სცენას. ჰამილტონი კვდება ზეზეურად, სიმტკიცით, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს ხალხს. ამანდამ მუხლებზე დაჩოქილმა გამოიტირა საყვარელი ადამიანი და კიბეზე ადის ზევით, თითქოს ახალი დიდი ცხოვრების შესახვედრად.

ამანდა პიესაში კაბარეს მოცეკვავეა. ჩახავამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა მისი სახე. გახსნა გმირის მოქმედების სოციალური მოტივები, რითაც როლმა უფრო ადამიანური, მოგიო, საინტერესო და მნიშვნელოვანი გახდა.

ამანდა ნორჩი და მშვენიერია, მაგრამ ქალიშვილს სევდა იპყრობს უმიზნოდ გატარებული ცხოვრების გამო. მსახიობი ცეკვით გადმოგვცემს უსიხარულო ბავშვობას, ხალხის მწარე ხვედრს წარსულში, ქალის ღირსების შელახვას, როცა იგი იძულებულია ცეკვით მოიპოვოს ლუკმა-პური. მოვიდა ჰამილტონი, და ამანდამ იგრძნო, რა მშვენიერია ცხოვრება, რა მშვენიერი არიან ადამიანები, რომლებიც თავს სწირავენ სამართლიანობისათვის ბრძოლაში.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან. მარჯვნიდან ამანდა (მ. ჩახავა), ჰამილტონი (ა. ხორავა), მარსელო (კ. კავსაძე). ფოტო ს. კრუფკოვისა.

მსახიობი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამანდას აღარ შეუძლია იცხოვროს ძველებურად. ის თითქოს მუდამ ეძებს ძალას გმირობის ჩასადენად.

მ. ჩახავას მსახიობური ბუნება მეტად მრავალფეროვანია. ოდნავ შესამჩნევი „შტრიხით“, გამომსახველი პლასტიკური ნახატით მსახიობი ყოველთვის ზუსტად გადმოგვცემს სცენური სახის ბუნებას.

ა დამიანის სულის შეცნობამ შეუწყო მას ხელი ჰამილტონის ჰეროიკის გაგებაში. ახლოდ ჰამილტონმა ჩახედა ამანდას თვალებში, მხოლოდ მან გაიგო, თუ რა მოწყურებული იყო ამანდა ჭეშმარიტ სიყვარულსა და ადამიანურ ურთიერთობას, და ისიც უკან მოუხედავად გაჰყვა, მთელი არსებით მიენდო ჰამილტონს.

ნიჭიერად გახსნეს თავიანთი როლები ხეთერელმა (ალფა). რ. ჩხაიძემ (ხოსე) და კ. კავსაძემ (მარსელო). ჭეშმარიტი ტრაგიზმით შექმნა განწირული გმირის ანოლონიოს სახე ბ. ზაქარიაძემ. არ შეიძლება გულგრილად უყურო ჩასუქებულ წყვილს, რომელსაც დიდი ოსტატობით თამაშობენ თ. თარხნიშვილი და ვ. აფხაიძე. სარეტერესო სახეები შექმნეს ბ. კობახიძემ, მ. ჩიხლაძემ, ვ. ჭიკინაძემ, ლ. ტყავაძემ, ს. ლაღიძემ, ივ. ჯინჯიხაძემ.

სპექტაკლი დამთავრდა... მაგრამ ვმირები ჩვენთან ერთად განაგრძობენ სიცოცხლეს თავიანთი სიხარულითა და წუხილით, თავიანთი შრომითა და ბრძოლით. ისინი აღარავის წინაშე არ დაიჩოქებენ!

ლამარა დოლონაძე.

ბ ევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სწავლობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ისინი გატაცებით ეუფლებიან არჩეულ სპეციალობებს, სისტემატური და ბეჯითი მეცადინეობით სრულყოფენ თავიანთ საშემსრულებლო და საკომპოზიციო ხელოვნებას. მათ დაოსტატებას ხელმძღვანელობენ გამოცდილი პედაგოგები, რომელთა შორის არიან ცნობილი ქართველი კომპოზიტორები, მუსიკათმცოდნეები, ვოკალური ხელოვნების სახელგანთქმული ოსტატები. პროფესორი ლეო შიუკაშვილი მეგიოლინეთა კლასს ხელმძღვანელობს. გამოცდილი პედაგოგი ენერგიასა და ცოდნას არ იშურებს, რომ ახალგაზრდობა აზიარის ეჭშმარიტ მუსიკალურ ხელოვნებას. მის მიერ აღზრდილმა ბევრმა ახალგაზრდამ უკვე გამოიჩინა თავი, ასახელა საუკეთესო პროფესორი და მშობლიური კონსერვატორია.

სურათზე: მეოთხე კურსის სტუდენტი, მეგიოლინე ნათელა ჩხუბინიშვილი (პროფესორ ლ. შიუკაშვილის კლასი). ფოტო ბ. დადვაძისა.

ვესტუმრეთ საქართველოსაც

საუბარი ჰოლივუდის კინოვარსკვლავ კიმ ნოვაკთან

ამერიკის კინოკრიტიკა და პრესა მაღალ შეფასებას აძლევენ პოპულარულ ამერიკელ კინომსახიობს კიმ ნოვაკს, რომელიც სსრ კავშირის კინომატოგრაფისტთა კავშირის მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფება. მოსკოვში ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტები შეხვდნენ ცნობილ ამერიკელ მსახიობ ქალს.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა კიმ ნოვაკს მისცა რამდენიმე შეკითხვა.

კითხვა: როგორია საბჭოთა კავშირში თქვენი ჩამოსვლის მიზანი?

პასუხი: ვოცნებობ შევასრულო ერთ-ერთი მთავარი როლი კინოფილმში, რომელიც საბჭოთა და ამერიკელი კინომატოგრაფისტების კოლექტიური ნაწარმოები იქნება. ვიცი, რომ ამჟამად მოსკოვში იმყოფება ამერიკელი მწერალი მიტჩელ უილსონი და საფუძველი ეყრება პირველ საბჭოთა-ამერიკულ კინოფილმს. ამიტომ ჩემი სურვილი რეალურად მეჩვენება.

— ხომ არ აპირებთ საქართველოში გამგზავრებას?

ნოვაკმა გვიპასუხა, რომ ბევრი რამ სმენია საქართველოზე.

— ვოცნებობ მშვენიერ შავიზღვისპირეთზე. ვფიქრობ აუცილებლად ჩამოვიდე საქართველოში, თუმცა ძალიან დატვირთული ვარ. წელიწადში 2-3 ფილმში ვთამაშობ მთავარ როლებს. ძალიან მომეწონა ქართული ბალეტი, ნიუ-იორკში ვნახე მისი გამოსვლა (ნოვაკს სუხიშვილის ანსამბლი ჰყავდა მხედველობაში).

ამერიკელ კინოვარსკვლავმა გაზეთ „კომუნისტისათვის“ გადმოგვცა ავტოგრაფი, რაზედაც ვკითხულობთ:



„მარად კეთილი სურვილებით თქვენდამი.

კიმ ნოვაკი, 15. 3. 62“.

შეხვედრის დასასრულს ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში ნაჩვენები იქნა ამერიკული ფილმი „პიკნიკი“. მასში მთავარ როლს ასრულებს კიმ ნოვაკი. ფილმის ჩვენების წინ ამერიკელმა კინოვარსკვლავმა ჟურნალისტებს მოუთხრო, თუ როგორ მუშაობდა როლზე.

ვლ. ალფენიძე.

მოსკოვი, მარტი.

• • •

სურათზე: კიმ ნოვაკი.

თეატრალური ცხოვრება

ამბროლაური. (საკ. კორ.). სახალხო თეატრმა ამ დღეებში მორიგ პრემიერად წარმოადგინა დრამატურგ ლ. სანიკიძის პიესა „ქუთათურები“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ლ. ტურძელაძემ, მხატვრულად გაფორმა ე. არჩვაძემ. როლებს ასრულებდნენ მსახიობები ნ. ტურძელაძე, თ. მაცაბერიძე, გ. ტურძელაძე, ვ. ბაკურაძე, კ. წერეთელი, ე. დვალი, ვ. წულუკიძე და სხვ.

ზ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სამ დღეს მიმდინარეობდა ფოთის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. თეატრის კოლექტივმა ზუგდიდელ მაყურებელს უჩვენა სამი დადგმა: გ. ბერძენიშვილის „სიყვარულის ძალა“, ე. გაბაშვილის „კონა“ და ლ. მილორავას „ჭირვეული მოხუცი“.

ცხაკაიას სახალხო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ახალი დადგმა „მოკვეთილი“.

სპექტაკლი დადგა თეატრის რეჟისორმა კ. კალანდაძემ, მხატვრულად გაფორმა ბ. ბარქაიამ, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის რ. გაბიჩვაძეს.

„ტერეზას დაბადების დღე“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

ვისაც „ბედმა გაუღიმა“

რესპუბლიკურ გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1962 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ცხრილი. შემნახველ სალაროებსა და საფოსტო ორგანიზაციებში გამოცხადდნენ პირველნი, ვისაც „ბედმა გაუღიმა“, — ვის ბილეთებსაც დიდი მოგება ხვდა.

ყველას უამრავი შეკითხვა აქვს. არის თუ არა უკვე ყველა საქონელი მოგებათა გასაცემად, სად შეიძლება ავტომანქანების „ვოლგისა“ და „მოსკვიჩის“ მიღება, რა მარკის მიანინოები და მაცივრები გათამაშდა, რა ძაბვის მტვერსასრუტები, ელექტროიატაკსაწმენდები, უთოები, ელექტროფენტილატორები და სხვა ძვირფასი ნივთები გაიცემა.

ეს არის მოვიდა ცნობა, რომ სიღნაღის რაიონის ნუკრიანის სასოფლო საბჭოს მდივანმა თინა ვლადიმერის ასულმა ჯავახიშვილმა ლატარიის 03384 სერიის № 023 ბილეთით ავტომანქანა „ვოლგა“ მოიგო.

მაღაზიებს უკვე აქვთ მაღალი ხარისხის ყველა საქონელი, რაც მოსახლეობას მოგების სახით უნდა მიეცეს. სხვა ქალაქების მცხოვრებთ მოგებული ნივთები უფასოდ გაეგზავნებათ საცხოვრებელ ადგილზე.

1962 წლის ყველა გამოშვების ლატარიის ბილეთებზე მოგება გაიცემა 1963 წლის 30 ივნისამდე.

მოგებათა მასობრივი განაღდების დაწყებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაძლიერდა მეორე გამოშვების ლატარიის ბილეთების გაყიდვა. ამ გამოშვების ტირაჟი ა. წ. 20 ივნისს გაიმართება.

უკვე გაყიდულია მეორე გამოშვების ლატარიის რამდენიმე ასეული ათასი ბილეთი.

ა. შტეინბერგი.

მოკლედ ყველაფერზე

□ **ტყიბული.** (საკ. კორ.). ამ დღეებში მეშახტეთა კიდევ ერთი ახალი ჯგუფი გაუმგზავრა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

წელს წყალტუბოს სანატორიუმში იმკურნალა ტყიბულელმა მეშახტემ, მოწინავე მნგრეველმა შ. ვაშაყმაძემ. ამფეთქებელმა ი. გაბრიაძემ თავისი ეკუთვნილი შვებულება გაატარა შავი ზღვის სანაპიროს ულამაზეს კურორტზე—ახალ ათონში. მემოტორე ტ. ობოლაძემ დაისვენა კისლოვოდსკში და სხვ.

□ **ბათუმი.** (საკ. კორ.). რაიონის სოფლებში მწყობრში დგებიან ახალი კეთილმოწყობილი შენობები. აშენდა კულტურის სახლი სოფელ ახალშენში, სკოლა-ინტერნატი და საავადმყოფოს ახალი შენობა — სოფელ კირნათში, კინოთეატრი და უნივერმაღი — კურორტ მახინჯაურში.

□ **წყალტუბო.** (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს ამ დღეებში მაღალმთიან სოფელ ცხუნურის მშრომელებმა. დამთავრდა ამ სოფლის ელექტროფიკაცია. ილიჩის ნათურები აკაშკაშებდა ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაში, საზოგადოებრივ ნაგებობებში და კოლმეურნეთა ბინებში.

□ **თერჯოლის** რაიონის სოფელ თერჯოლის კოლმეურნეობამ აიგო ახალი ორსართულიანი შენობა: ადმინისტრაციული სახლის ქვედა სართულზე მოთავსებულია 350-ადგილიანი კლუბი, ბიბლიოთეკა. ახალი ნაგებობანი შენდება აგრეთვე კვიჭარისა და თუზის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობებში. („კომუნისტის“ კორ.).

ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში

ინსტიტუტი ეპიდემიოლოგიისა და ბაქტერიოლოგიისა. ინსტიტუტის ლაბორატორიებში ინტენსიურად ტარდებოდა ბაქტერიოლოგიური, ბიოქიმიური, ბიოლოგიური, ფიზიკური, ფიზიკო-ქიმიური, ბაქტერიოფაგოლოგიური, ალერგიული, ბიოლოგიური, ბიოქიმიური, ბიოფიზიკური, ბიოტექნიკური, ბიოსტატისტიკ